





1929 **მშენებელი** საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური და ცდილ. შაუ-  
ბთების და გან. სახ. კომისიას. სტე. აღმ. შთაჯარმატ-  
თულთმისა ჟურნალი შედარქლოჯან შავთათჯის **წელიწადი II**  
**№ 10**

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

1. მშენებლის დილა, — ლექსი მარიკასი . . . . .	1
2. ჯუსტა, — სეზმან ერთაწმინდელის . . . . .	2
3. მიტო საზრანგეთში, — მარო კეჩხუაშვილის . . . . .	11
4. მღმსავი, — ლექსი გ. ქუჩიშვილის . . . . .	14
5. დედის მოლოდინში, — მ. მიქელაძის . . . . .	15
6. ვიი, შახე ჯაჯილს, — პიესა თარგ. უკრაინულიდან მ. მ. . . . .	20
7. ლაპარაკობს, ლაპარაკობს, — თარგ. ნ. ბ-ის . . . . .	30
8. ხანძარი ქუთაისში, — ლექსი მ. . . . .	32
9. ლენინელაზის სიმღერა, — მოსიკა რ. გაბიჩეაძის — ვარჯიანზე.	



# მჭობების დღი

საბავშვო სახლი მართულა  
ლაშხად, აღისფერადა,  
ირგულივ—ღროშები, ღროშები —  
მოაქვთ ამაუად, ცერადა.



უჭ, ვინ დაითვლის ამ ღროშებს,  
ვკანებ ათასი ღერია!  
მოდინა ოქრომბრელები,  
მოდინა, მოიმღერინა:

558

„ვსწავლობთ, ვშირობთ და ვიცინით,  
ვიხრდებით, არა ვკვიანობთ,  
მოგვაქვს ახალი სიცოცხლე,  
ოქრომბრელები გვქვიანო“.



ღროშები შარიშურობენ,  
ღოლი გრუსუნებს სმინანად,  
მთელი ქადაქი მართულა  
გაღმინა-გამოღმინანად!

სახლებს ამშვენებს ნოსები,  
ღროშები აღისფერია,  
კავით ვვალამ, კავით:  
წითელი ოქრომბერია!





## ჭუსტა

ა.

— ჯუსტა! — წამოიძახა ჟორჟა და ეველამ ხელი ასწია, როცა ლილიმ განაცხადა:

— ვინ ავირჩიოთ თავმჯდომარედ?

— აბა, ჯუსტა, დაიკავე შენი ადგილი.

— მე, ამსანაგებო... არა, ისევე სსვა ავირჩიოთ... არ შემიძლია... — მორცხვად განაცხადა არჩეულმა.


— არ შეგიძლია კი არა, ძალიანაც კარგად შესძლებ. — უთხრა ჟორჟა და თითქმის ძალად დასვეს მაგიდასთან.

— აბა, ამსანაგებო, მე სომ იცით, უფრო მომხრე ვარ კოლექტიურად წაუვივანოთ კრება; რა საჭიროა თავმჯდომარე... მე ვკონებ, იმდენი შეკრება კი გვაქვს, რომ წესიერად ჩავატარებდით... — განაცხადა ჯუსტამ.

— აი, უცნაურობა დაიწყო კიდევ... კრებას თავმჯდომარე უნდა, აბა ვის გაუგონია ისე?..

— ჯორჯია ჯუსტა; რაღაცას ისეთს იტყვის და გაიტანს კიდევ, რომ ჩვენთვის მოულოდნელია...





ვაისმა აქეთ-იქიდან.

— ჰო, აქვენ რომ ვინმე არ გმეთაურობდესთ, ისე სომ არა-ფრის გაკეთება არ წარმოვიდგენიათ.. კარგი.. რადგანაც აგრეს, უძრავლესობას ვემორჩილები, მაგრამ ხემ ასრზე ვარ მანც... ავირ-ჩიოთ ბარემ მდივანც... — წარმოსთქვა ჯუსტმა და ფანქარი მოი-მარჯვა.

— გოგი იუას! — წამოაყენა ქეთინომ.

— აგრე!

— ვინა ხართ მომსრე? — აბა, გოგი ჩამოსწორე კითხვები.

— მე წინადადება შემომაქვს, რომ... — უნდადა რაღაც ეთქვა ლილის, მაგრამ თავმჯდომარემ შეახერა:



— არაფერი წინადადება; ჯერ სიტყვა ითხოვე და ძერე.

— ო, რა სასტიკი თავმჯდომარეა!

— თითქოს არ შემიძლიაო?

ასეთი სურათი იყო ოქტომბრის ზეიმის წინა დღეს ერთ შრომის სკოლაში

ოქტომბრელებიც ემზადებოდნენ დიადი დღის შესასვენად...

ბაქ უნდა განეხილათ, თუ როგორ უნდა ჩაეტარებიათ ეს დღე.

ბ.

— კრებას ვაღებულად ვაცხადებ და სიტყვა ეკუთვნის... — განაცხადა ჯუსტამ.

განსმა სიცილი.

ჯუსტა აიღეწა, სახეზე აღისფერმა გადაჭკრა.

— ვაღებულად თუ გასწილად? — წამქოსთქვა ეკუთრებ შვიით და ამხანაგებს შეჭლიძა.

— ეგ სულ ერთია... მე ნუ მასწავლით... კინდა გააღე, კინდა გასწენი... სიტყვა აიღეთ და ისე ილაპარაკეთ, თორემ ამხანაგებო, მე ვერ ვაუძღვები კრებას; სხვა აირჩიეთ...

— არა, მე... — რაღაც უნდა ეთქვა კვლავ ეკუთრის, მაგრამ შეაჩერა:

— არაფერი მე... და რაღაც... წესრიგი უნდა იცოდეთ... კარგა ფილა მართლაც საჭირო თქვენთვის თავმჯდომარე... სმენა... მოხსენება ოქტომბრის რეკლამის მასწავლებელი იტყვის... გთხოვთ...

განსმა ტაძი.

— ბეჭებო, თქვენ, როგორც ოქტომბრელები... — დაიწყო მასწავლებელმა.

ეკვლა სმენად გადაიქცა.

მათ ესმოდათ საუბარი ოქტომბრის ამბებს, მისთვის ბოლო შევიკების ბრძოლაზე, მის მნიშვნელობაზე; მასწავლებლის საუბარში მათ თვალწინ მიქროდნენ სურათები, ვით კინაღლები, ოქტომბრისთვის თავგანწირვაზე, წითელი არმიის გმირულ ბრძოლაზე.



თეთრკვარდიელთა უნდოების მიხარო იერიშებზე სამოქალაქო ომში, სხდაც არა ერთ ასეთსავე ჰატარა ბაჟში, მუშის და გლეხის შვილს, ჰქონდა შეტანილი თავისი წვლილი; ბავშები აღფრთოვანებით უსმენდნ.

— შერე, შერე, მასწავლებელო, ჰატარა გმირმა ბიჭმა უკრანაში როგორ მოატყუა ბანდიტები, რომ ვითომ წითლებს მძინარებს თავს დაანსავდა და ამოაყლეტინებდა, მაგრამ ესა აუბნია და წითლებს ტყვედ ჩაუბრან? — ძევეითხა ჰეტეკო.

მასწავლებელი ცოტა ხანს შეჩერდა.

— სიხუმე, ორატორს ნუ უძლით.— მენიშნა ჯუსტამ, თუძცა თვითონ უფრო ძალიან უნდოდა გაეგო ეს ამბავი ერთხელ კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ მოესმინა მამისგან,

რომელიც მაშინ სწორედ იმ წითელ რაზმს შეთავრობდა, რომელსაც ხელში მისცა ბავშმა ბანდიტები.

— რა მოუვიდა იმ ბიჭს? — ახლა ღილი ატედა.

— რა და, ამბობენ, ახლა კომკავშირელიაო კიევში და საუკეთესო მომუშავე ელსადგურზე.

— კიდევ კარგი, რომ არ მოჰკლეს!

— უოხადი იყო... მან მამისაგან იცოდა, თუ რა იყო ოქტომბერი; მას იმ ბანდიტებმა მოუკლეს მამა და შური იძია...

— ო, რა კაბეღული უოფილა! — წამოიძახა ჟორჟმა, რომელსაც მოენატრა ისეთისავე გმირობის ჩაღვნა, თუ, ვინიცობაა, საბჭოთა კავშირის ვინმე მტერი არ მოუსვენებდა, აი, თუნდაც ჩინელი ხუნ-სუსები; რამდენჯერ უნატრია, ნეტა დიდი ვიყო, რომ მოხალისედ შევიდოდა შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ აზშიაში და კუდიით ქვა ვასროლიყო იმ უანადებსო...

ეს არ იცოდა, ალბათ, ჯუსტამ, რომ მიასხლა:

— არა და შენსავით დოჟლანია იქნებოდა ის გმირი ბიჭი!..

— ჯუსტა! — შეაჩერა მასწავლებელმა და ისე გადახედა, რომ აკრძნობინა, ეგრე არ შეიძლება ღაზანაკი, ამხანაგის დაცინვაო.


— მანატე, ჟორჯ! — უთხრა ჯუსტამ, როდესაც მასწავლებლისაგან შენიშვნა მიიღო, და ხელი გაუწოდა მორცხვი ღიმილით...

— ო, ჯუსტა! სხვას, იცოდე, არ მოუუთმენდი... — მიუგო ჟორჟმა, თუმცა ნაწუნმა, მაგრამ მაინც მეკობრულად.

ასეთი მოუსვენარი იყო ჯუსტა, თავისდა უნებურად ბევრს აწუენინებდა ხოლმე, მაგრამ აქ მაინც ეველას უუვარდა...

## 8

— ... და ვის უნდა უსაროდეს უფრო ოქტომბრის დღეობა, თუ არა ჩვენ, რომელთაც ოქტომბრელებს კვებხიან, რომელნიც ზიონერების შეცვლად მოვდივართ და ვიზრდებით კომუნის ბაღში? ჩვენ დავამტკიცებთ ჩვენს მომზადებას, ჩვენ ეველას დავანახებთ, რომ ვისწავლით, გაზნათლდებით, წამოვიზრდებით და ოქტომბრის სამშობლოს საღანაჯოზე ჩავმწკრივდებით გუშაკებად, რომ ავაყვა-



ერთ სოციალისტური პრომის რესპუბლიკა, მონაწილეობა მივიღოთ იმ დიად აღმშენებლობაში, რომელსაც ჩვენი მშობლები ეწვევიან და რომელიც ჩვენ უნდა დავაშთავროთ...—ამბობდა სიტყვაში ჯუსტა, რომელსაც ისეთი ზოზა მიუღო, თითქოს დიდი ორატორიყო.

გაიხმა ინტერნაციონალის ჭიმი...  
ბავშვები სიმღერით აჭეუენენ...

ისმობდა საოქტომბრო ქება...

— ჯუსტა?

— ჭმ... გუნდს ლოტბარობდა ხელების თანხმოვანი აქნევით...

ღ

კრებაზე გამოძახვდა წესრიგი, თუ როგორ უნდა ეხეიმნათ ოქტომბერი სკოლაში, ვის რა უნდა გაეკეთებინა, როგორ გავიდოდნენ ქუჩაში დემონსტრაციაზე, რა მონაწილეობას მიიღებდნენ...

— გამოვიღოთ ჩვენი წვლილი და ავტომობილსაც მოვადწყოთ კარნახალი... — სთქვა ჯუსტამ კრების დასურვისას.

ვეელა დასთანხმდა.

ჯუსტა აქ თუმცა ვეელაზე ზატარა ჩანდა, მაგრამ ისეთი რამ არ გაკეთებოდა, რომ ის არ რეულიყო, დიდი მოწაფენიც კი მას ეკითხებოდნენ სმირად და რჩევას სთხოვდნენ; ეკ იყო, რომ, რასაც იტყოდა, რომ არ გავეყანა, ისე ვერ ისვენებდა: მას ღრმად სწამდა, რასაც იტყოდა; და მისი ნათქვამი სმირად უკეთესიც გამოდიოდა; ეს უხაროდა მას, უხაროდათ მის ამხანაგებსაც და ამიტომ ვეელაფერს უთმობდნენ; მან ვეელას შეაყვარა თავი ავრეთვე თავისი თავგანწირული მეგობრობით.

მერე და სხვა ბავშვებით რატომღაც არ უყვარდა (ეგლები; სწავლაში ხომ წინ უსწრებდა თითქმის ვეელას და მუდამ სერიოზული სახე ჰქონდა; მისი შესჯდულება სულ არ ჰგავდა ბავშვისას, ის ბუდამ ფუნფუნებდა, მუდამ რაღაცას აკეთებდა: ხან ხატავდა, ხან ძერწავდა, ხან ქდალდებისაგან სხვადასხვა თარგს სჭრიდა..

მას სმირად ჯუსტას მაგიერ ჯიუტს ეძახდნენ...

ბავშვები ჟრიაბულით მიესივნ სკოლის მორთვას: მწვანე კირლიანდები შემოავლეს აივანს, ვეავილებით დაამშვენეს შესავალი, წითელი კუთხე მორთეს თავისი ნაწარმოებით: ნახატებით, ლოზუნგებით და ზღაპრებით; მია ლენინის ქანდაკებას შემოავლეს შავარძიანი წითელი ლენტე; წინ მიამავრეს სუთქიმიანი ვარსკვლავი, ჩაქუნ-ნამკვალი გვირგვინით.

მეორე დღეს აქ საღამო აქვთ დანიშნული, საოქტომბრო ზატარა ზიესას ხომ ორი კვირაცაა უკვე რაც ამზადებენ; იტვიან ლექსებს, იმღერებენ, გაიმართება (ველა; მშობლებიც დაესწრებიან, იქნებიან საპატიო სტუმრები...

აი, ჯუსტა თავის დახატულ დიდი ბოლშევიკის სურათს ამავრებს.

— ჯუსტა.

ასე ეწერა ამ სურათის ბოლოში.



არავინ იცოდა, ეს წარწერა სურათზე დახატული ბეჭდის ვინაობას ნიშნავდა, თუ დამხატველისას; არც თუ ვინმეს ვკითხა, რათ ერქვა ამ გოგონას ასეთი უცნაური სახელი.



— ეს გოგონა, ეტეობა, არჩეულგებრივი ჭკვიანი და ნებისუფის ვაძოვა, — სთქვა ინსტრუქტორმა.

— ჭმ.. ჯღრ ის იკითხეთ ახლა, ვინი მოსახელვა და!.. — მიუგო მახსწავლებელმა.

— ვინი?

— ვინი და...



9

— ჯუსტა?! ჭმ.. რა უცნაური ხარ, ალე!.. საიდან აილე? ზირ-  
ველად მესმის ასეთი სახელი... — შევეითხა სიცილით ამხანაგი,  
მეორე დღეს დემონსტრაციაზე მწკრივში რომ იდგენ და ამ დროს  
ოქტომბრელთა რაზმმა ჩამოიარა სიძღვრით, ალემ სისწრულით  
ხელი დაუქნია ერთ გოგონას და დაუძახა:

— ჯუსტა.

— მამა! — იყო მოდიმარე გოგონას აღტაცება.

— არაფერია გასაოცარი. ჯულაშვილი-სტალინი რომ შეა-  
მოკლო, რა იქნება?

— ჯუსტა.

— ჭო და, როგორც დიდი კომუნარი, ღირსია მისდა საზა-  
ტივეცემოდ ასე დაბერქმია.

ამ საუბრებში შემოდგომის მსე ხანდახან თუ გადმოხედავდა  
სოღმე თვალბეინქლული ცით, თორემ მას ისევე ძალე ბეფარებოდა  
ლეგა ღრუბლები, რომელნიც უდაბნოში დაღლილ აქლემთა ქა-  
რავანივით ხანტად მიილალებოდენ იალქნებაშლილი ქარით...

— ხვენ გაფუანტავთ იმ ღრუბლებს... — რატომღაც წარმო-  
სთქვა ჯუსტამ.

ელესე ამდგარი ქალაქი ელაგდა...

რევეალუციის ბურჯი ლურჯხალათიანი მუშები ასანზარებდენ  
ქუჩებს...

ქარხნების საუვირებმა გუშინვე ამცნეს ეს ამბავი ადრინანი შა-  
ბადით...

— რაიო! ოქტომბრელებს ვინ მოუძღვის წინ ზაწია წითელი  
დროშით?!

— აღბათ ჯუსტა!!!

# მისი საპრანბეთი



—ქან, ბნელა და მუშინია,  
— იმასოდა განუწვევტილი ვა-  
ტარა მარი.

ქანი კი უზსროდ დანდიოდა  
ოთასში; წინა ღამეს ღამფაში  
ნავთი გამოღეუულიყო და აწლა  
ბნელოდა.

— ქან, მოდი აქ, თორემ დედას ვეტივი, რომ მავაფრებ!— წა-  
მოიძახა მარი.

ქანი მიუახლოვდა მარის, რომელიც ვატარა ტანტსე მოკუნ-  
ტულიყო, და გულში ჩაიკრა.

ქანს სახე დაღონებული ჰქონდა და ცრემლიანი თვალებით  
მისხერებოდა მარის.

— როდის მოვა დედა, როდის?— ჭირვეულობდა მარი.

ქანმა მოსძებნა ეუთში კარტოვილის სახთელი და ოთასი  
განახათა. მარი წმითა და ტკბილი კვერით დაამშვიდა.

კარტის ფრთხილი კაკუნის მოისმა. ოთასში შემოვიდა ქანის მე-  
გობარი ჟორკი. ის მხიარულად მიუახლოვდა მარის, თმებსე ხელი  
კადაუსვა და უთხრა:

— მარი, ანამ დედოფლობიან თამაში გამართა და შენ გემახის,  
მარიმ მონახა თავისი სათამაშოები და ჟორკეს გაჭკვა.

ქანი ისევ უზსროდ იჯდა და ვერ მოეფიქრებინა, თუ სად იქ-  
ნებოდა დედა. გუშინ მუშათა დღესასწაული იყო. მუშებს და ახალ-  
გაზრდებს მუშაობა შეეწვევტათ და წითელი დროშებით ქუჩაში გა-  
მოსულიყვნენ, დღესასწაულობდენ მუშების საერთაშორისო ბრწეინ-  
ვალე დღეს.

მადლობსე გამოდიოდენ მუშები და სმამალა ღანაჩაკობდენ  
ამ დღესასწაულის მნიშვნელობასე. ქანი და ჟორკიც მადლად ხესე

შემსდარნი განცვიფრებულები აღევნებდენ თვალუურს ამ უხვეულო ამბავს.

უცებ გამოხდა ჟანის უფროსი ძმა ჟაკერი. სიხარულისაგან აღტაცებული ჟანი კინაღამ სიდან ჩამოვარდა. ჟაკერი ხმაძაღლა გაჭკვიროდა.

— მართალია, მარმან ამ დღეს ღაზარაკისთვის დაატუსაღეს მრავალი მუშა და მათ შორის მამახშიციც და სიცოცხლე მოუსწეს, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვეშინია, ჩვენ მაინც ვიბრძოლებთ თავისუფლებისათვის, ვიბრძოლებთ ბურჟუა კაპიტალისტების წინააღმდეგ. — იძახოდა ჟაკერი.

მუშები ტაშით ხვდებოდნენ მის სიტყვებს.

ჟანი და ჟორჟი შინ დაბრუნდნენ. ჟანს ისევ ეურში ესმოდა ჟაკერის სიტყვები.

სახლში შესვლისთანავე შესტა სკამზე და დაიძახა:

— ჩვენ არაფრის არ გვეშინია, ჩვენ ვიბრძოლებთ!

— გაჩუბდი, ჟან, — შესძახა დედამ, — მაგ სიტყვებს ჟაკერსაც არ ანატეებენ, სომ ხედავ, როგორ იგვიანებს, ალბათ უკვე დაიჭირეს. გათენებისას შემინებული დედა ჟაკერის ამბის გასაკებად წავიდა. აი, დაღამდა და ჟურაც არ დაბრუნებულა.

— ჟან! — შემოსძახა ფანჯრიდან ჟორჟმა, — მარი დედაჩემს ჩავაბარე, წავიდეთ მოედანზე, იქ კავიგებთ ჟაკერის და დედაშენის ამბავსაც.

მათ გაირბინეს მუშათა უბნის მიერუებული ქუჩები. გაჩირადნებულ მოედანზე თვალწინ წარმოუდგათ უშველებელი ციხე, რომლის დარკინულ ფანჯრებში ტუსაღებს გამოეყოთ ხელები და წითულ ცხვირსასაცებს აფრიანლებდნენ.

— ჟორჟ, ჟაკერიც აქ იქნება, — მიამახა ჟანმა გამოშტერებულ ჟორჟს.

— ჟაკერ, ჟაკერ, მანდა ხარ? — შესძახა ჟანმა და მისმა ხმამ თითქმის შეანძრია ვეველაფერი. ირგვლივ მოისმა სავეირის ხმები. შემინებულმა ჟორჟმა იქვე ქუჩისკენ მოჭკურცხლა, ჟანი კი შეჭკუ-

რებდა ცისის დატყუებულ ფანჯარას, საიდანაც ქაქერს ხელი გამოე-  
ყო და რაღაცას ანიშებდა.

საუვირი ისევ გუგუნებდა.

— დროა, დრო!—საიდანღაც მოისმა ხმა.

შემინებული ქანი მეორე მხრისკენ გაქანდა..!

— რას შვრები, რას?

მიტომ თვალები გაახილა. ის საცვლეების აძარა იდგა მასწავლებლის წინ.

ესოში საუვირის ხმა ისმოდა.

წუხელი, როგორც საქსკურსიო კომისიის თავმჯდომარემ, თვითონ შეიტანა წინადადება ამ დღეს მათ საბავშვო სახლს ექსკურსია მოეწყო.

— მიტო, — დაიწყო მასწავლებელმა, — შენ სტუკი, ბავშვები წასვლელად მზად არიან და შენ კი...

მიტომ მასწავლებელს ქურნალი გაუწოდა.

კანცვიფრებულ მასწავლებელს ვერაფერი გაეგო.

— დიად, მასწავლებლო, ეს სტუკის. წუხელის რაც ამაში წავიკითხე, ის დამესიზმრა და...

მასწავლებელს გაეცინა.

— უნდა იცოდე, — დაიწყო მან, რასეც ფიქრობ, ის მოგკლანდება...

ნახევარი საათის შემდეგ ზიონერთა რაზმი ბარბანსე ფეხსეობილი მოდიოდა საქსკურსიოდ, მათ წინ მიუძღოდა მიტო, რომელმაც ღამით „ინახულა“ საფრანგეთი.

მარო კეჩუაშვილი.

## მ ლ ე ს ა ვ ი



რა ვუყოთ, რომ ალექსი  
არც თუ ისე დიდია,  
რომ სალესი მანქანა  
მხარსე გადუკიდა?  
მაშის ანდერძს ასრულებს,  
შრომა არ ესარება;  
რასაც იღებს—შინ მიაქვს,  
ქვრივ დედას ესმარება.

—  
აი ახლაც ქუჩებში  
გამოსულა ალექსი  
და გასმასის: „ვისა გაქვთ  
დანები გასალესი?  
ჰა, ჩლუნგი მაკრატელით  
განნდა გოგო ცქრიალა,  
ალექსიძაც მანქანა  
დასდგა, დაატრიალა.  
ზირი მაკრატელისა  
ჩაჩხმა ისე ალესა,  
რომ კმაყოფილი დარჩა  
მუმტარიც და ალექსიც.“

—  
ესოებში, ქუჩებში  
მიდი-მოდის ალექსი  
და გასმასის: „ვისა გაქვთ  
დანები გასალესი?“



ბავშვებმა ხელი ხელს ჩასჭიდეს და დაუშვეს. ფრთხილად სინჯავდნენ ფეხით საფეხურებს და წუნარად მიაბიჯებდნენ. ჯერ შუა კიბეებზედ არ მისულიყვნენ, რომ უეცრად დრენა, წკპუტუნის და კნავილი შემოესმათ.

— მალეები! — შიშით წაიხურხულა გოგამ, — დაპბრუნდეთ! ბავშვები უკვე მობრუნებას აპირებდნენ, რომ უეცრად ქვევით გაინდა კარის ჭრიალი და დეიდა ქეთოს სმამ გაიწვრიალა:

— თეთრა! თეთრა! აქ მოდი, შე სამაკელი! თეთრა შექეი! ბავშვები დამშვიდდნენ.

— ეს სომ დეიდა ქეთოს თეთრაა, — გაესარდა ნუცამ.

— ჩვენ კი შეკვეპინდა, — სთქვა გოგამ.

— დეიდა ქეთო! — დაიუვირა მალლიდან ნუცამ, — ჩვენ თქვენთან მოვდივართ, მანდ დაკვიცადეთ!

გაღებული კარიდან გამოსული სინათლე უხვად ეფინებოდა კიბეს. ბავშვებმა სწრაფად ჩაიბრინეს ის და დეიდა ქეთოს ოთახში შეიჭრნენ.

ოთახში ელექტრობით განათებულ მაგიდაზე სამოვარი ჩუხჩუხებდა. გიკა, დეიდა ქეთოს შვილი, მაგიდას მოჯდომოდა და ჩაის შეექცაოდა. მის ფეხებთან ნაომარი თეთრა ატრუსულიყო.

— დეიდა ქეთო, სვალამდე ნაუთი კვასესნეთ. დედა შინ არ არის, — დინჯად აუხსნა ნუცამ.

დეიდა ქეთომ სანაუთო გაუესო და კარამდე მიაცილა.

— ჩქარა ადით, კარი ღია იქნება, სანამ ახვიდოდეთ! — მიამახსა მან.

ბავშვები სწრაფად აქვეენ კიბეს. უეცრად, კიბის ზირველ მოედანზე, მოსახვევში, რაღაც თეთრი ფუთა დაინახეს; ნუცა დაინხარა და ხელი შეასო. ფუთა შეიძრა და საცოდავად დაიკნავლა.

— კატა! — გავერვებით შესძახა ნუცამ.

— წავიუვანოთ! — სთქვა გოგიმ და კატას ხელი დაავლო.

ეს ჰატარა, გამხდარი და აცახცახებული ფისო იყო.

— სცივა! — გამოაცხადა გოგიმ და კატა დის წინსაფარში გასვია.

— რა მოგივიდათ ამდენ ხანს? — დაიძახა ქვევიდან დეიდა ქეთოდ, — ახვედით თუ არა? კარი უნდა დაუკეტო.

ბავშვებმა ფიცხლავ აიბინეს კიბე და ზემოდან გადმოსძახეს:

— გმადლობთ, დეიდა ქეთო, უკვე ავედით!

ოთახში გოგიმ დადგა სანავთე და იღუპალებით აღსავსე ხმით გამოაცხადა:

— ჩვენ რაღაც მოვიუვანეთ!

ლილი უცებ წამოხტა.

— აბა რა, რა?

ნუმა ჩამოცოცდა სკამიდან და დაძმას მიუახლოვდა.

ნუცამ გახსნა წინსაფარი.

— ფისო! — აღტაცებით შეჭევირა ლილიმ და ხელში აიტაცა. მკერდს უცებ დააცქერდა და სიბრაღულით სახე დაებრცია.

— სისხლი! — მწუსარებით სთქვა მან, — უერში სისხლი მოხდის.

ბავშვები მოეხვიენ და ფრთხილად დაუწვეს თვალიერება. სისხლი თათშიაც სდიოდა; ცხადი იყო, რაღაცას დაეპინა.

— ეს სულ თეთრას ოინებია! — ბრაზით წარმოსთქვა გოგიმ. — დამაცადოს იმანა...

— უბირველეს უოვლისა, ფისოს „პირველი დასმარება“ უნდა აღმოეჩინოთ, — დინჯად სთქვა ნუცამ, — მერე კი თეთრასეც ვილაპარაკოთ.

გახადა საქმიანობა, ნუცა განკარგულებებს იძლევა:

— ჩქარა, ბორნის სიმკავე! ლილი, ბანდი! გოგი, ჰიგრო-სკოპიული ბამბა მომაწოდე!

და ეველა სწრაფად ასრულებს ბრძანებას: გოგი ბამბას მთარბენინებს, ლილი ბანდსა, ჰატარა ნუმას კი წამლების მთელი უთი აუკიდია და მოახაქჩაქებს.





აი, შესვენაც დამთავრებულია.

ნუცამ სანახეთუ ბილა და სამსარეულოსკენ გაემართა.

—ახლა ჩაიდანს ავადუღებ,—სთქვა მან,—ჩაი დავლიოთ და თეთრას განსამართლებთ დავიწყეთ.

ბავშვები შეუდგენ „შრომის განაწილებას“: გოგამ ჩაიდანში წუალი ჩაასხა, ნუცამ ნახუტურა ანთო, ლილიმ კი განჯინიდან ზური, რძე, შაქარი და ჯამ-ჭურჭელი გამოაღება. სამ წამში ჩაიდანიც აფოფინდა, და ბავშვები სუფრას შემოუსხდენ.

—ფისოს!—გაისყენა ლილიმ,—მასაც სომ ჰმინა?

ნუცამ აავსო ლამბაქი რძით და ფისოს წინ იატაკზე დადგა. ფისომ ჯერ დაუნოსა და ენა ნახად ამოჭკრა. ბოლოს, ჩანს, მოეწონა და ხარბად დაუწყო ჭამა.

ბავშვებიც არ გვიანობდენ. ლილი სომ ისე ჩქარობდა განსამართლების მოლოდინში, რომ კინაღამ ზიჩი დაიწვა ცხელი ჩაით.

როდესაც ჩაის მორჩენ და ჯამ-ჭურჭელიც ააღებეს, ნუცამ ფისო სავარძელში მოაწყო და დიდის ამბით გამოაცხადა:

— ახლა გავასამართლოთ თეთრს!

— გავასამართლოთ, გავასამართლოთ! — აქრიაბუღდენ ბავშები. გაიძარბა სასამართლო. სუფრის თავში — მოსამართლე ნუცა, აქეთ-იქით — ბრალმძებელი ლილი და დამცველი გოგი, სუფრის ბოლოში კი მცინერისცოფიანი სასოგადოება — ზაქარია ნუბა.

ბრალმძებელი იღებს სიტყვას:

— ამხანაგებო, — ამბობს ის, — თეთრას საქციელი გაუმართლებელია: მან ტუილ-უბრალოდ დაასისხლიანა უდანამჯულო ფისო. მე მოვიტისოვ, რომ ის სამაგალითოდ იქნეს დასჯილი.

ლილი ჯდება.

ჯერი დამცველსება.

— არა, ამხანაგებო, — ეოუძანით ამბობს დამცველი, — გოგი — ეგებ ფისომ ზირეელმა დაიწყო...

— არაფერიცა! — აწუკუტინებს ბრალმძებელი, — ფისო ისეთი ზატარა და წენარია!

— სიმშვიდე, ამხანაგო, — აჩერებს დინჯი მსაჯული, — სიტყვა დამცველს ეკუთვნის.

— მე... მე... — ბორძიკით ამბობს დამცველი, — მე გავბათავე.

— მაშ, სათქმელი არაუის არაფერი აქვს? — კითხულობს მსაჯული.

— არაფერი, — ერთხმად უპასუხებენ ეველანი.

— ახლა სასამართლო დაიწვეს ბჭობას, — დინჯად აცხადებს ნუცა, — სხდომა ათი წამით წუდება.

ბავშები აიძლებიან და უცებ დაინახავენ, რომ „სასოგადოებას“ სმინავს.

— ნუძას დაუძინია! — ევირის ლილი.

— უნდა დავაწვინოთ, — ამბობს ნუცა.

გოგი და ნუცა ფრთხილად ასწევენ ზატარას, ლილის ძიაქვს მისი მოქანავე ფეხები და მთელი პროცესია დედის ფართო საწოლისაკენ მიემგზავრება.



სანამ ნუცა დას ტანს ხდიდა, გოგი და ლილი წამოწვევენ ლოგინის ფესკით და თვალები მილულეს.

— გოგი, ლილი, მანდ არ დაგეძინოს! — არც მინც და მინც მტკიცედ სთქვა ნუცამ. როცა და-ძმამ მოლოდ წუნარი ფშინვით უნახეს, ნუცა ჩამოჯდა ლოგინზე და თავი ნუძას ბალიშზე დასდო. „ერთი წუთით“ — გაიფიქრა მან და თვალები მოხუჭა.

სუთი წამის შემდეგ, როცა დედამ კარი შემოაღო და ოთახში შემოვიდა, ოთხივეს ტკბილად ეძინა. არა, სუთივეს, ვინაიდან, იგრძნო რა ავადმყოფმა ფისომ სიმპტომი, ის ჩამოცოცდა სავარძლიდან, რის ვაი-ვაგლახით მიტანდას და საწოლთან, აფოფსდა ზედ და ნუძას მხარზე მოაკლათა.

ძილი ნებისა!

მიქელაძე



## „კეი, შენე ჯეჯილს“.

საბავშვო პიესა სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ბაბუა	
მამა	
დედა	
ოქსანა	12 წლის გოგო
მარიკა	} ოქსანას მეგობრები 10—12 წლისა.
ზინა	
ნანტიკო	
არჩუა	
გრიცკო	
საშიკო	
მასიკო	
სიომკა	
დაპირილი გოლუხვიკი	
პირველი სტაჟენიკი	
მეორე სტაჟენიკი	
სოფლის გოგო - ბიძები	

მოქმედება სწარმოებს უკრაინაში, ვრანგელთან ომის დროს.

### სურათი I

სცენა წარმოადგენს ბატონის ბაღსა და ყანას შუა მდებარე პატარა მინდორს. მინდორის პირად ბუჩქები და თივის დიდი ძნა.

შემორბიან გოგოები.

მარიკა. ოქსანა, ოქსანა, ჩქარა აქ მო, გოგო, ჩქარა!

ზინა. ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

ნანტიკო. ერთი შეხე, ახალი თავსაფარი აქვს!

მარიკა. მართლაც! ჩქარა, ოქსანა, ჩქარა! (შემორბის ოქსანა).

ოქსანა. უჰ, რა დავიღალე! ისე მოვრბოდი, რომა!

მარიკა. აბა მაჩვენე ხელსახოცი!

ოქს. (აწვდის) აჰა!

ნანტიკო. (ათვლიერებს) რა ლამაზია და! ბაბუამ გაჩუქა?

ოქსანა. მაშა.

ნახტ. ძალზე ლამაზია. არ გახუნდეს კი.

ზინა. (ღობისაკენ გაიხედავს) შეხეთ, არიშაც იქა დგას, ღობესთან.

მარიკა. არიშა, მოდი აქა!

ნახტ. ეს რა არი? ტირის, განა!

ოქს. მაგისი მამა ხომ კახაკებმა წაიყვანეს (ნამტირალევი არიშა უახლოვდება ბავშვებს).

მარიკა. წამო, არიშა, ვიბანაოთ.

არიშა. არ მინდა...

მარიკა. რათა?

არიშა. ისე.. (თვალეებს იწმენდს)

ოქს. ნუ ტირი, არიშა.

მარიკა. რაო, ჯერ კიდევ არ გამოუშვიათ მამა?

არიშა. არა... ამბობენ, უნდა დახვრიტონო (ტირის).

ოქსანა. ნუ ტირი, არიშა. ბაბუამა სთქვა, არაფერსაც არ უზამენ, გამოუშვებნო.

არიშა. ნეტავ ეგრე იქნეს და...

ოქსანა. აბა, წავიდეთ.

არიშა. არ მინდა!

მარიკა. მაშ, ვითამაშოთ! თვალხუტუნაობა გინდა?

არიშა. კარგი...

ყველანი. ვითამაშოთ, ვითამაშოთ!

მარიკა. სათვლელს ვინ იტყვის?

ოქსანა. მე!

მარიკა. მაშ სთქვი ჩქარა (ყველანი შეჯგუფდებიან ოქსანას პირდაპირ, ოქსანა ლაპარაკობს).

ოქსანა. წი-თე-ლი ვა—

შლი ვის უნდა

შენ თუ მე,

პირი გაა-ღე!

(შემორბიან ბიჭები. მხრებზე ჯოხები გაუღვიათ).

გრიცკო. ერთი თქვენა! რა დროს თვალხუტუნაობაა, მოდით რევოლუციობანა ვითამაშოთ!

ბიჭები. (აიტაცებენ) მოდით, მოდით!

გოგოები. ჩვენ რომ არ ვიცით?

გრიცკო. ისწავლეთ! (საშიკოს) შენა, საშიკო, ვრანგელი იქნები, მე კი ფრუნზე. აბა, ბიჭებო, დანაწილდით ორ ბანაკად!

სიოშკა. მე მახნო ვიქნები!

ვახიკო. მე პეტლიურა!

გრიცკო. არა, ეგენი არ გვკვირდება.

გოგოები. ჩვენ რაღა ვქნათ?

გრიცკო. თქვენა? შენა, მარიკა, დედა იქნები, ოქსანა კი და.

მარიკა. } მერე რა ვქნათ?  
ოქსანა. }

გრიცკო. აი, ვისმეს რომ მოგვიკლავენ, თქვენ იგლოვეთ.

მარიკა. მე არ ვიცი გლოვა.

გრიცკო. არა უშავს, ისწავლი.

ზინა. ჩვენ კი მოკლულებს დავმარხავთ.

გრიცკო. ჭლიერ კარგი. აბა, ბიჭებო, დაიყავით პარტიებად, ჩქარა! ოქსანა, მოიტა შენი ხელსახოცი, ბირალად გადაკეთებთ. ოქსანა. ჰო, დიად, დასახვეად გინდა! არ მოგცემთ...

გრიცკო. სულელლო, რათ უნდა დავხიოთ? მოიტა აქა. (გამოართმევს თავსაფარს და ჯოხზე აკეთებს).

მარიკა. ჩვენ სადღა დავდგეთ?

გრიცკო. უკან დადექით. როგორც კი ვინმე დაიჭრება, აიყვანეთ. აბა, სმენა! საშიკო, შენი ჯარი იმ თხრილში დააბანაკე (აჩვენებს კულისებისკენ), ჩვენ კი შემოგიტევთ.

საშიკო. (თავისიანებს). სმენა! ყური უგდეთ ბრძანებას! თოფი მხარზე! ნაბიჯით იარ! (გაღიან).

გრიცკო. (თავისიანებს) ამხანაგებო! უფროსს ყური უგდეთ! სმენა! ადგილზე ნაბიჯით იარ! დაიწყეთ სიმღერა!

(ყველანი მღერიან)

აბა, ბიჭებო,

ბიჯები

მომამზადეთ საომრად, —

მსუქან ბატონს,

ტვირთს რომ გვადებს,

დავმორჩილდეთ აბა რაღა?..

(გარბიან კულისებში. გოგოებიც მისდევენ. ისმის ყვირილი: ვაშა! ვაშა! ბუმი! ბუმი! ბა! ცოტა ხნის შემდეგ გოგოებს გამოაქვთ „მოკლული“ და სცენის შუაგულს დასვენებენ. მარიკა და ოქსანა ვითომ ტირიან, სხვები ყვავილებს აყრიან „მიცვილებულს“)

(შემორბიან ბიჭები)

ბიჭები. ვაშა, ვაშა! ჩვენ გავიმარჯვეთ!

გრიცკო. დიდება ჩვენს წითელ არმიას, საუკუნო დიდება დაღუპულ ამხანაგებს!

ყველანი. დიდება, დიდება!

მარიკა. გრიცკო! მოხსენი თავსაფარი და მოიტა აქა, მიცვალებულს დავაფაროთ სახეზე.



ოქსანა. როგორც სიმღერაში არის ნათქვამი!

ყველანი { ეს კარგია,  
 მოდით ვიმღეროთ!

(მიუახლოვდებიან „მოკლულს“ და მღერაან)

ჰეი, შეხე ჯეჯილს,  
 მოთელილი ძეგს,  
 ჯეჯილზე მოკლული  
 ბოლშევიკი წევს!  
 ჩვენ დავმარხავთ  
 აი იმ ხის ქვეშ, ნახე,  
 ცეცხლისფერ თავსაფრით  
 დაუფარავთ სახეს!

(შემორბიან საშიკო და დანარჩენი ბიჭები)

საშიკო. თავი ანებეთ თამაშს! კახაკებმა კომუნისტები გამოიყვანეს დასახვრეტად!

ყველანი (შიშით). რომელი კომუნისტები?

საშიკო. ა ისინი, ბატონის თავლაში რომ იყვნენ დამწყდვე-ულები.

გრიცკო. ნუთუ დახვრეტენ?

საშიკო. ამბობენ... ყველა თავზარდაცემულია. შენი მამაც წაიყვანეს, არიშა...

არიშა. ვაი, მამილო, მამილო! (გარბის ტირილით. ისმის სროლა. ყველანი გარბი-გამორბიან ყვირილით. ოქსანას ხელსახოცი მიწაზე რჩება).

#### პაუზა

(ბუჩქებიდან დაჭრილი ბოლშევიკი გამოფოფხდება. კენესის, ოქსანა ბრუნდება ხელსახოცის ასაღებად. დაჭრილს რომ დაინახავს, შეჰყვირებს „ვაი“ და გაშეშდება).

დაჭრილი. ნუ გეშინია, გოგონა, მე როდღე გერჩი. შეგეშინდა?... აბა, მოიწი ჩემსკენ... ახლომახლო არაეინ არი?

ოქსანა. არაეინ.

დაჭრილი. ეს კარგია... ჩამოჯექ აქა, ჩემს სიახლოვეს. კახაკები წავიდენ?

ოქსანა. არა, მთელ სოფელში დაძრწიან, ჩხრეკენ...

დაჭრილი. არაეინ დახვრიტეს?

ოქსანა. ექვსნი. ა იქა, თხრილს უკან.

(სიჩუმე)

დაჭრილი. აი, გიყურებ და ვფიქრობ, ღარიბი ოჯახიდან ხარ. შენ, ალბათ, მთელი პერანგი მიკერილ-მოკერილი გაქვს.

ოქსანა. ჰოდე, ძია, ღარიბები ვართ.



**დაქრილი.** მაშ, გაიგონე მე კახაკებს ვემალეები, მხოლოდ არავის უთხრა,—მომკლავენ, გესმის?

**ოქსანა.** მესმის. მერე, სად იყავი, ძია, ახლა აქ რომ ხარ?

**დაქრილი.** ღამით გამოვქექევი. გუშინ დაგვიკირეს ყველანი, მოგვიყვანეს თქვენს სოფელში და ბატონის თავლაში დაგვამწყვდიეს... იმ ღამესვე უნდა დავეზვირით. ჩვენ კი მიწა გამოვთხარეთ და გავიქეციით. სტრატეგიებმა შეგვამჩნიეს და ასტეხეს სროლა. უკვე მინდორში ვიყავი, რომ უცებ მომეწია ტყვია და ფეხში დამქრა... წავიბორძიკე, დავეცი და დავიწყე ფოფხვა... ამ დროს შემომათენდა კიდევ. სისხლისაგან დავიცალე. არაქათი აღარა მაქვს. მაშ შენ ამბობ, ჩხრეკენო?

**ოქსანა.** ჩხრეკენ, მაშ. სადილის დროს შინ ვიყავი და ყური დავუგდე: ზოგი დაიკირესო, ზოგი ვერ იპოვესო. ბაბუამა სთქვა: წადი ახლა და სდიე ქარს მინდორშიაო.

**დაქრილი.** სწორია. პეი, ფეხი არ მიშლიდეს... ახლა მობრუნებაც მიკირს. როგორმე უნდა გავკრა კი! საღამომდე აქ ვიქნები, ბინდისას კი ეგებ ტყემდე მიფოფხება შევძლო.

**ოქსანა.** მე კი საქმელს მოგიტან ხვალა, როცა ძროხას საძოვარზე გამოვლენი.

**დაქრილი** (თავზე ხელს უსვამს). გმადლობ, ჩემო გოგონა, მაშ მომიტან საქმელსა? ეგებ წყალიც მოაყოლო! ძალზე მწყურია, მთელი შიგანი მეწვის, წყალი კი ერთი წვეთიც არ არის...

**ოქსანა.** კარგი, ძია, წყალსაც მოგიტან.

**დაქრილი.** გმადლობ, გოგონა! მხოლოდ ერთი სიტყვაც კი არავისთან წამოგცდეს ჩემზე.

**ოქსანა.** განა გიქი ვარ რო! (დგება) მშვიდობით, ძია! (მიდის და უკან იხედება) ნუ გეშინია, არავისაც არ ვეტყვი! (მიდის).

ფ ა რ დ ა

## სურათი II

სოფლის ეზო. საღამოა.

ბაბუა, მამა, დედა.

**ბაბუა.** (ჩიბუხის ბოლებით) ყოჩაღ, სიმონ! თუ კაცი ღარიბი ხარ, ღარიბს უნდა უქერდეს მხარსა, მაშ!

**მამა.** რისთვის ამბობ?

**ბაბუა.** აი, რომ გაქცეულან... გამოუთხრიათ თავლა და პერი! სტრატეგიებს შეუშინევიათ, მაგრამ რაღა დროსია. აუტეხიათ სროლა, აყალ-მაყალი... ღამემ უშველათ იმათა. სდიე ახლა!

**მამა.** რას გიხარია... უკვე შებოქვს ყველა და კიდევაც დახვრიტეს, ერთმალა მოუსვა.

ბაბუა. რას ამბობ? სიმონიცა?

მამა. სიმონიც.

ბაბუა. საწყალი, საწყალი ბავშვები... აბა რა დაუშავებიათ! დარჩენ ახლა უბატრონო ობლებად, ეჰ-ეჰ-ეჰ! (ჩაუქრდება).

დედა. რას იხამ, ასეთი დრო დაგვიდგა, რომ ერთი მეორესა სცემს! შენ მიდექ შენთვის, ნუ ეჩხუბები: თუ ბოლშევიკები მოვიდნენ, ჩვენც ეს გვინდა, მიწას მოგვცემენ. რახანია მიწის დარღიოთ აღარ გვძინავს.

მამა. დაჩუმდი ერთი, შენ ვინა გკითხავს... (შემოდის ოქსანა, მისკენ) შენ სად იყავი?

ოქსანა. არსადა.

მამა. როგორ არსადაო, სეირნობდი, განა?

ბაბუა. მაშ, მუდამ ხომ არ უნდა იმუშაოს? დღეს კვირაა. საქონელი მე მოვამოვე, მაგან კი გაისეირნა.

მამა. ანებივრეთ, ანებივრეთ... (ოქსანას) შენ კი საქონელს ყური უგდე, პურში არ ჩაგებაროს, თორემ მიფრთხილდი!

ოქსანა. პურში რათ უნდა ჩავიდეს! მაშ მე რაღას ვაკეთებ!

მამა. ეგრე ჰქენი, თორემ ისეთ სეირნობას მოგცემ, რომა!

ბაბუა. მართლა: პურზე გამახსენდა. ასე სთქვეს, რომაო, ვრანგელს ბრძანება გამოუციაო, ნახევარი მოსავალი ბატონს მიუტანეთო.

მამა. ეგ სხვებისთვის. ბატონმა იცის, ვის წაართვას, ვის მიართვას.

ბაბუა. ცუდს ჩადიხარ, შვილო, ცუდსა. თუმცა ლარიბი ვარ, მაგრამ უპერანგოებს არ ვებრძოლები.

მამა. ცუდი რა არი? ბავში არა ვარ, კარგად ვიცი, რასაც ჩავდივარ.

ბაბუა. დახე, არ ინანო. ბატონები საუკუნო ხომ არ არიან, მათი დასასრული იქნება.

მამა. ეჰ, მოჰყე შენცა! მაგ უპერანგოები უნდა გვებატონონ?

ბაბუა. როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

მამა. ასეც აჯობებს.

ბაბუა. ეჰ-ეჰ-ეჰ! (სიჩუმე) ოქსანა, როგორ მოწყენილი ხარ, ავად ხომ არ ხარ?

ოქსანა (ბაბუას ეხვევა). არა მიშავს რა, კარგად ვარ.

ბაბუა. მაშ, ეგებ რამე იცუღლუტე, ჰა?

ოქსანა. არა მეთქი, ბაბუა, არაფერი...

ბაბუა. (მუხლებზე აქანავებს) არა, შენ გულში რაღაც გიდევს, რაღაცას ჩქმალავ, განა არა?

ოქსანა (ყოყმანით). ხომ არავის ეტყვი?

ბაბუა. არა, შვილო, არავისა, განა რა მოხდა?

ოქსანა (ჩურჩულით). მე ბოლშევიკი ვნახე, ა ისა, ჩვენები ვიყავით.

მამა (მიაყურებს). რაო, რაო, ვინა ნახე?

(ოქსანა გაჩუმებულია)

ბაბუა. სთქვი, ბაბავ, განა უცხოებია, — ყველა შენიანია, ნუ გეშინია.

ოქსანა. მერე თქვენ არავის ვეტყვი? ისე მოხოვა იმანა...

მამა. არ ვეტყვი, მამა, აბა სადა ნახე ისა?

ოქსანა. ბაღს იქით, მინდორში. ბავშვებში ვთამაშობდით და უცებ აკი გადავეყარე. დაქრილია, ფეხი შეხვეული აქვს, სულ გასისხლიანებულია.

მამა. მერე, ახლაც იქ წევს?

ოქსანა. არა. იმანა სთქვა, რო... მაგრამ შენ არავის უთხრა.

მამა. აკი გითხარი, არავის-თქო.

ოქსანა. იმანა სთქვა, აქ საღამომდე ვიქნებო, საღამოს კი ტყეში გადავალო.

მამა. აბა, ფრთხილად იყავ, სხვასთან არავისთან სთქვა ესა.

ოქსანა. (ტირილით) მე კი არავის ვეტყვი, შენ არ წამოგცდეს თორე.

მამა. არხეინად იყავ. ახლა წადი, დაიძინე, უკვე დროა.

ბაბუა. წავიდეთ, ბაბუა. ბებერსა და ბაღსა, შვილო. ერთი დრო აქვთ. (მიდიან სახლისკენ. კარებთან ოქსანა მობრუნდება და ყურს უგდებს).

მამა. რაო, ქალო, მოდი წავიდე და ბატონს გავუცხადო?

დედა. შენს სინდისს შეხედე, კაცო, რას ლაპარაკობ?..

მამა. აი, რა სულელი რამა ხარ! შენი სარგებლობა არ გესმის: ჯერ ერთი, მიწას მოგვიმატებენ, მეორეც — პურს ხელს აღარ გვიხლებენ.

დედა. როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მხოლოდ უარესი არ მოგივიდეს: ხალხი გაგიგებს, სირცხვილია.

მამა. რა ხალხზე ლაპარაკობ? აბა იმათგან რას გამოვლი? ბოლშევიკთან კი ჩვენ საქმე არ გვაქვს.

დედა. მაინც ცოდაა ადამიანის შვილი... ვინ იცის, ცოლშვილის პატრონია...

მამა. მოჰყე ახლა! აგერ-აგერ ფლიკინის დაიწყებ. აბა, მე მივდივარ. (წასვლას აპირებს).

ოქსანა. სად მიდიხარ, მამილო?

მამა (შეკრთება). საიდან გამოტყვევრი? რატომ არა გძინავს?

ოქსანა. აქ ბოლშევიკებზე ლაპარაკობდით რაღაცას.

მამა. რა ბოლშევიკებზე? წადი, ახლავ დაიძინე! (კოლს) წაიყვანე სახლში.

ოქსანა. შენ სად მიხვალ?

მამა. ე რას ჩამაცოდდა? ძია თედორესთან მივდივარ, ცხენები უნდა გამოვართვა. ხვალ სახნავი მაქვს (მიღის).

დედა. აბა, წადი, შვილო, დაწეკი. ხვალ აღრე უნდა გარეკო საქონელი.

ოქსანა. დედა, რას გეუბნებოდა მამა?

დედა. რა ვქნა, რამ მოგიარა? წადი, წადი, თორე, თუ ავიღე წყებლა! (ორივე მიდიან სახლისკენ).

### უ ა რ დ ა

#### სურათი III

პირველი სურათის დეკორაცია

სალამოა, სიწყნარე.

მამა. (შემოდის და აქეთ იქით იხედება), ჰეი, ვინა ხარ აქა? (თავისთვის) ხმას არ იღებს, ხომ არ გაიბარა? (ეძებს და ბუჩქებში მწოლარე დაქრილს წაწყდება) შენ ისევ აქა წევხარ?

დაქრილი. როგორც ხედავთ.

მამა. მე კი ოფლი ვადამასკდა შენს ძებნაში.

დაქრ. განა რათ გინდივარ?

მამა. ქალიშვილმა მითხრა, დაქრილიაო, შიმშილით კვდებაო...

დაქრ. მართალიცაა—არ მოვრჩები, მთლად მოვიშალე.

მამა. განა ვინა ხარ შენა?

დაქრ. ვინც გინდა ვიყო, ხომ ხედავ, რაც მომდის. ბატონის ლაქიებს გამოვექეცი და შიმშილით ვიღუპები.

მამა. რად უნდა დაიღუბო? ეგებ გადარჩე, ვინ იცის. შენ აქ იჯექ, მე კი შინ ავირბენ და რამე საქმელს ჩამოგიტან.

დაქრ. უჰ, მადლობელი. ძიაჯან, არც კი ვიცი, როგორ დაგიმადლოთ. ახლა მარტო თქვენზეა ჩემი იმედი.

მამა. მხოლოდ არ დაინძრე კი აქედანა, იწეკ წყნარად, რომ კიდევ საძებარი არ ვამიხდე.

დაქრ. კარგი, კარგი. მხოლოდ ფრთხილად იარე, არვინ დაგინახოს. წელან კაზაკები იყვნენ აქა, მეძებდენ.

მამა. არხეინად იყავ, ბალლი არა ვარ. აბა, მივდივარ.

დაქრ. ჰო, მადლი ჰქენი და წყალიც წამოიღე, საშინლად მწყურია ..

მამა. ახლავ მოგირბენინებ (მიღის).

(პაუზა. შემოარბის ოქსანა. აქეთ იქით იხედება. ხელში სანოვაგიანი ბოხნა და წყლით სავსე ბოთლი უჭირავს).

ოქსანა. (შიშობს) ძიაჯან, აქა ხარ? ძიაჯან!

დაქრ. აქა ვარ, პატარავ, აქა.

(გამოფოფხდება ბუნჭებიდან)

ოქსანა. მე ვახშამი მოგიტანე.

დაქრ. ნუთუ?

ოქსანა. აი, ქადის ნაჭერი, ეს კიდევ მარწყვი. სჭამე!

დაქრ. გამდლობ, გეთაყვა (ხარბად სჭამს), არ დავიწყე ძია.

ოქსანა. აი, წყალიცა, ბოთლშია. ჯერ ივახშმე და მერე წყალიც დააყოლე.

დაქრ. როგორ წამოხველ, განა მამას არ გაუგია?

ოქსანა. არა, მე თვითონ...

დაქრ. აი, სწორედ ამ წუთას იყო აქ მამაშენი.

ოქსანა (შეჰყვირებს). მამა?!

დაქრ. რა მოგივიდა, ეგრე რათა ყვირი?

ოქსანა. იმას! ცუდი უდევს გულში! გაიქცეთ, ძიაჯან, გაიქცეთ!

დაქრ. სთქვი, რა ამბავია?

ოქსანა. დედას ეუბნებოდა ისა, ბატონებს უნდა ვუთხრაო მისი ამბავიო.

დაქრ. მერე, მან საიდან გაიგო?

ოქსანა (ტირილით). მე ყველაფერი ვთქვი შინ.

დაქრ. მერე?

ოქსანა. ის კი აღგა და მაშინვე წამოვიდა.

დაქრ. ეს რა ჩაიღინე! სადღა დავიმალო ახლა?

ოქსანა. აი, ტყე ახლოსაა — გაიქცეთ!

დაქრ. მე ხონ ძლივს დავფოფხავ!

ოქსანა. ოხ, ძიაჯან! განა ვიფიქრებდი, რომ ასე გამოვიდოდა!

დაქრ. ბატონი შორს ცხოვრობს?

ოქსანა. არა, ახლოსაა. აი აქვე, ბაღის უკან.

დაქრ. მაშ ახლავ მოვლენ ისინი. სადღა დავიმალო?

ოქსანა. აი, თივაში ჩაიმაღლე. იქ ვერ გნახავენ.

დაქრ. ეგ სულ ერთია, გინდ იქ ვმჯდარვარ, გინდა აქა.

ოქსანა. არა, შეძვერო! მე კარგად დავიფარავ თივითა. (თივაში ორმოს აკეთებს) ძიაჯან, ჩაძვეროთ! უკვე ბნელა, ისინი ვერაფერსაც ვერ დაინახავენ.

დაქრ. მაშ, კარგი, რაც მომივა, მომივა. (გაქირვებით შეფოფხდება თივაში).

ოქსანა (თივას მიფარებს). წყნარად იწექი, ძია, არ იკვნესო. (ძნის უკან დაიმალება)

(პაუზა. შორიდან მოისმის წყნარი ლაპარაკი. შემოდინ მამა და ორი სტრანჯიკი).

მამა. წყნარად მიუახლოვდით. არ შეგნიშნოსთ, ვინ იცის, იქნებ ბომბი აქვს ხელში.

პირ. სტრაჟ. კი, მაგრამ სად არი?

მამა. აი, აქა, ბუჩქებში.

პირ. სტრ. (მეორეს) იქიდან შემოუარე, მე კი აქ დავხედავ. (ბუჩქებთან მილიან და ჩხრეკენ) აქ არავინ არ არი, შეილოსა!

მამა. კარგად დახედეთ, ალბათ შემალულია შიგა.

პირ. სტრ. ბრმები ხომ არ ვართ!

მამა. სულ ერთია, აქ უნდა იყოს, შორს ვერ წავიდოდა.

მეორე სტრ. ეგებ ძნაში დაიშალა?

პირ. სტრ. აბა, შეიანძრე თივა!

(მეორე სტრაჟი უახლოვდება თივას, ამოიღებს ხმალს და უნდა გაჰყვას ძნას, რომ უცებ ძნის იქიდან ოქსანა გამოხტება).

ოქსანა. ვაი, მიშველეთ, მიშველეთ, მამილო!

მამა. ფუი, ქაჯო! საიდან გამოტყუარი?

ოქსანა. ვაი, მამილო, მიშველეთ, კინალამ მომკლეს ბოლშევიკებმა.

ყველანი. რა ბოლშევიკები?!

ოქსანა. მე საკმეღი მოვუტანე იმასა, მთხოვა. ვნახოთ, მარტოკა კი აღარ არი—იმდენი არიან, რომ თქმაც ძნელია.

მამა. მერე, სად არიან?

ოქსანა. არ ვიცი... ორმა აი ის დაჭრილი აიტაცეს და ტყისკენ გააქანეს. სხვები კი აქ მიიშალენ. ძლივს გამოვექცევი მათა.

პირ. სტრ. ე სად მოგვიყვანე, შე ხეპრე, შენა?

მეორე სტრ. გავიქცეთ, რალა!

პირ. სტრ. საით?

მამა. ბატონის ბაღში (ამირებს გაქცევას)

ოქსანა. არ შეიძლება! ისინი იქ სხედან!

ორივე სტრ. გავიქცეთ! (გარბიან სხვადსხვა მიმართულებით)

მამა. (გარბის და გზა-გზა) ოქსანა, გამოიქე!

ოქსანა. მოვდივარ! (ორივენი გარბიან).

(სტენა ცალიერია. ცოტა ხნის შემდეგ შემობრბის ოქსანა)

ოქსანა (თივას აბრუნებს). ძიაჯან, გამოდი, უკვე აღარავინ არი აქა. დაქრ. ნუთუ წავიდენ?..

ოქსანა ისე შევაშინე, რომა, აღარასოდეს არ დაბრუნდებიან.

დაქრ. ყოჩაღ, გოგო! მე კი სასიკვდილოდ მოვემზადე უკვე. ახლა ნელ-ნელა უნდა გავუღდე გზას.

ოქსანა. წადი, ძია, წადი! ეს კი გზაზე დაგვირდება (აწვდის ბოხხას).

დაქრ. გმადლობ, კარგო გოგონა! ყოველთვის ასე ჭკვიანი ყოფილიყო. მშვიდობით. მოიწი ჩემსკენ. (კოცნის ოქსანას) მეცა მყავს შენისთანა გოგონა, შენსავით პატარა. აბა, წადი, მშვიდობით!

ოქსანა. მშვიდობით, ძია! ახლა კი არავის არაფერს არ ვეტყვი! (გაღის).



# ლაკარაკოზს, ლაკარაკოზს!

(კაგრძელებს)

ახალი შვირილი.

ახალი შვირილი კუთხეში მიმჯდარიყო, მიჰკროდა კედელს, როგორც დაბერილი ჩიტი. გიშურით თვალები უბრუნებდა, ხელები და ფეხები ჩხირებს უკავდა. ხუმარ იყო, ცრემლები კი დანაღვლით



ჩამოსდიოდა სახესე. ეს ვოგონა ეს-ეს იყო მოივანეს საბავშვო ბაღში და დატოვეს აქ სამუდამოდ. ბიძია გიორგიმ დაუტოვა სათამაშოები, ტკბილეულობა, ერთი კიდევ კადაუსვა თავსე ხელი და წავიდა. ირინემ ანც კი დახედა სათამაშოებს, მიდგა კუთხეში და მწარედ ატირდა. მასწავლებელი მივიდა მასთან, მოაბრუნა თავისკენ ისე, რომ ბავშვს მისი ტუჩები ენახა, და ალერსით ეუბნებოდა:—ნუ ტირი, ვოგონი, ნუ ტირი!

მაგრამ ბავშვს არაფერი ესმოდა და ტირილს განაგრძობდა.

ირინეს ბავშვები შემოესია. ვოვა გაკვირვებული დასცქეროდა, თინამ თითი მუცელში ჰკრა, კოლამ ენა გამოუყო, ზინამ კი ფერადი რგოლებისაგან აშენებული კოშკი მოუტანა და აძლევს.





ირინე თანდათან დაშვიდდა, შეეყვია ბავშებს, მათთან თამაში დაიწყო.

ძალიან მოეწონა ტანვარჯიშობა მუსიკით. მაშინაც კი, როდესაც მასწავლებელი დაბალი სმით უკრავდა, ირინეს არ შესცდებოდა ხოლმე ვარჯიში.

— ეს გოგონა ძალიან დაკვირვებულია, — უთხრა სადამოზე ტანვარჯიშობის მასწავლებელმა თავის ამხანაგებს.

ირინემ თავისი სახელი მწვანე ფანქრით თვითონ დაწერა თეთრ ქაღალდზე და კედელზე ჩამოკვდიდა. მან უკვე კარგად იცოდა თავისი სახელი, უველა სურათის დასახელება შეეძლო და ტუნებზე კითხულობდა თითქმის უველაფერს, რასაც მასწავლებელი ეუბნებოდა. მშენიერად სატავდა, შერწავდა, იცინოდა, თამაშობდა, ჩხუბობდა, დელავდა, ჯიუტობდა, უაღერსებდა, როგორც დანაწიენი ბავშები.

ბევრი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გოგამ ირინე საბავშო სახლში მოიყვანა. ამ დროს განმავლობაში გოგი რამდენჯერმე იყო



ირინეს სანახუად, სახუქრებიც მოჰქონდა. სხვა ბავშვებთან მოდიოდნენ მათი მშობლები, და-ძმები და ნათესავები.

გავიდა ერთი კვირა, მეორე, მესამე, — მია გოგი არსად გამოჩნდა. ირინე ავიდოდა ხოლმე ფანჯარასე და შესცქეროდა ვეღას, ვინც სასლს უახლოვდებოდა. ამ დროს განძავლობაში ამხანაგებთან კი მოდიოდნენ და მიდიოდნენ ნათესავები.

იმედს რომ დაჰკარგავდა საწყალი გოგონა, ჩამოვიდოდა ფანჯრიდან, შემვრებოდა ტანტის ქვეშ და ტიროდა.

თანდათანობით მიეჩვია კიდევ თავის მარტოობას. ან იცოდა გოგონამ, რომ მისი კარგი ბიძია სახადით გახდა აუად და მოკვდა. ირინე კი იზრდებოდა და დღედაღღე ჰგვიანდებოდა.

(დასასრული იქნება)

6. ბ.

## ხ ა ნ ძ ა რ ი ქ უ თ ა ი ს უ ი

ამოსკდა ალი სახლიდან  
და შეუთურა კვამლმა სალსს სასე.  
ებრაელებმა იწყეს წრიალი;  
სასლებში ისმის კენესა, სრიალი.  
მათი ბავშვები შეშინებულნი  
მისდევნენ დედებს თვალცრემლიანნი.  
ჯერ აქაიქა და შემდეგ ვეველებს  
სასლებს მოედვა დიდი ხანძარი,  
მოელ შენობასე გადაიქროლა  
ტანჯვის წუთებმა, დამრწოდა ვველა.  
ბავშვები შავად კამურულები  
ესებენ მშობლებს, მშობლები ბავშვებს.  
დარჩა სახლების შავი ჩონჩხები.  
დაექცა ვველას ოჯახი ძველი,  
მაგრამ შენდება ძველის მაგიურად  
ახალი სახლი, ახალი ბინა.     ა.



ქართველთა  
კომპოზიტორთა  
კავშირის

მუს. რ. გავრცელების  
სიტყ. ალ. მამაშვილის.

# ლენინელევის სიმღერა

Tempo di Marcia

ჩვენ ვართ პა - ტა - ხა ღვ - ნი - ი - ნე - ლე - ბი, მო - ვალო ხამ - ლე - ხით

*mf*

ცა - ვა - ით და - რ - ხით, მო - ფი - ნავს და - რ - მა ცუც - ხლი - სფერ - ზით

მო - ბრეს ცხუ - ჩე - ბა სულ ზვი - ა - ნა - ი - ხი. წინ მე - ვ - დგხოდ მივ - ქვით!

The musical score is written in G major and 2/4 time. It consists of three systems of vocal and piano accompaniment. The piano part features a steady march-like rhythm with triplets and sixteenth notes. The vocal line is in a simple, rhythmic style with lyrics in Georgian. The score includes dynamic markings like 'mf' and 'f', and articulation like slurs and accents.

ღე, გაძლიერდეს გუგუნი მტკრევის,  
 დეე, დაბნელდეს ეამი ჩვენს ირგვლივ,  
 ვერ შეგვაშინებს მუქარა მტრების,  
 კომუნის დროშით წინ მდგრად მივქრით!..

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია: გ. ლუარსაბიძე, ნინო ნაკაშიძე და მ. ელიჯარაშვილი.

1930 წ.

საუბნელო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. „**თბილისელი**“ მოველ-თვიური III წ.

მოზრდილ. „**პიონერი**“ ორკვირული V წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

}	გადაგზავნით	„ <b>ოქტომბრელი</b> “ —	წლით—3 მ. 50 კ.
			ნახევარი წლით—2 მ.
		„ <b>პიონერი</b> “ —	წლით—5 მ.
			ნახევარი წლით—3 მ.

}	ცალკე ნომერი	„ <b>ოქტომბრელი</b> “ — 35 კაპ.
		„ <b>პიონერი</b> “ — 25 კაპ.

შისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). ახალგაზრდათა სექტორი. „**ოქტომბრელი**ს“ და „**პიონერის**“ რედაქციის.

